

შპს სი ვი აი ლაზ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა.....	6
4. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	7
6. სავაჭრო მოთხოვნები	8
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	8
8. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან და რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება.....	8
9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	9
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	9

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	323	181,197	16,370
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,060,060	824,807	956,002
სულ აქტივები		1,060,383	1,006,004	972,372
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	233,752	178,670	67,351
სულ ვალდებულებები		233,752	178,670	67,351
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		826,631	827,334	905,021
სულ კაპიტალი		826,631	827,334	905,021
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,060,383	1,006,004	972,372

დირექტორი



ვასილ ჩერნიავესკი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	8	2,725,521	3,732,699
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	8	(2,074,776)	(3,199,306)
საერთო მოგება		650,745	533,393
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(651,147)	(513,204)
(ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობამდე		(402)	20,189
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(301)	(97,876)
ზარალი დაბეგვრამდე		(703)	(77,687)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(703)	(77,687)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	905,021	905,021
წმინდა ზარალი	(77,687)	(77,687)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	827,334	827,334
წმინდა ზარალი	(703)	(703)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	826,631	826,631

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სი ვი აი ლაბ რეგისტრირებულია 2021 წლის 16 თებერვალს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკის რაიონი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი II, კვარტალი IV, კორპუსი N2, საცხოვრებელი ფართი N76. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405444372. დაწესებულების 100%-იანი წილის მფლობელია ვასილ ჩერნიავესკი, FT 428889, 19900823-07472 (უკრაინა).

დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი. დაწესებულების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია ვასილ ჩერნიავესკი, FT 428889, 19900823-07472 (უკრაინა).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ დაწესებულება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. დაწესებულების მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება დაწესებულების ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

დაწესებულება ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

4.2 გადასახადები

შპს „სი ვი აი ლაბ“ ფლობს „ვირტუალური ზონის პირის“ სტატუსს, რომელიც საგადასახადო სტატუსია და კომპანიას აძლევს საშუალებას, რომ მიიღოს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, გადასახადისგან გათავისუფლებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება მოგების გადასახადით და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით.

4.3 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.4 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დაწესებულება ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს მარკეტინგულ, საბანკო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა დაწესებულების მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს ფინანსურ დაწესებულებაში უცხოურ ვალუტაში.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2023	31-12-2022
ევროში განთავსებული	231	224
აშშ დოლარში განთავსებული	92	180,973
სულ	323	181,197

6. სავაჭრო მოთხოვნები

2023 და 2022 წლების ბოლოს დაწესებულებას ჰყავდა მხოლოდ 1 დებიტორი - კომპანია, რომელსაც დაწესებულება უწევდა პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურებას და რომლის დავალიანება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,060,060 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 824,807 ლარს.

7. სავაჭრო ვალდებულებები

2023 და 2022 წლების ბოლოს კომპანიის სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურების მომწოდებელი ფიზიკური პირების მიმართ არსებულ დავალიანებას.

8. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან და რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

დაწესებულების შემოსავლის წყაროს წარმოადგენს არარეზიდენტი კომპანიებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლები.

საკუთარი მომსახურების გაწევისას კომპანია სარგებლობს მესამე მხარის მომსახურებებით. კერძოდ, კომპანია ახდენს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურების შესყიდვას, როგორც იურიდიული ასევე, ფიზიკური პირებისგან. აღნიშნული ხარჯები ასახულია რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში.

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
მარკეტინგის ხარჯი	602,552	455,845
სხვა ხარჯი	48,595	57,359
სულ	651,147	513,204

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წელსა და 2022 წელს კომპანიას არ ჰქონია ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, მათ შორის არ მომხდარა კომპენსაციის გაცემა მენეჯმენტზე.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.